საქართველოს მთავრობის
კანცელარია

CHANCELLERY OF THE
GOVERNMENT OF GEORGIA

არასამთავრობო ორგანიზაცია მწვანე ალტერნატივას
აღმასრულებელ დირექტორს ნინო გუჯარაიძეს

მისამართი: ქ.თბილისი, ზ.ფალიაშვილის 27/29, მე-2 სართული

ქალბატონო ნინო,

საქართველოს მთავრობის კანცელარიაში საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის სახელზე 2014 წლის 11 ნოემბერს წარმოდგენილია თქვენი N38045 ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც ითხოვთ საქართველოს მთავრობის კანცელარიის დავალდებულებას გასცეს საქართველოს მთავრობის 9.10.2014 წლის N1844 და 30.09.2014 წლის N1789 განკარგულებების გამოცემასთან დაკავშირებით არსებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების ასლები.

წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ „საქართველოს მთავრობის კანცელარიის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 6 ივლისის N244 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლით დადგენილია საქართველოს მთავრობის კანცელარიის ხელმძღვანელი და მისი უფლებამოსილება. კერძოდ აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოს მთავრობის კანცელარიას ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ხოლო საქართველოს მთავრობის კანცელარიის მიმდინარე საქმიანობას უძღვება საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 1 ნოემბრის N1553 ბრძანებით მოხდა საქართველოს პრემიერ–მინისტრის ზოგიერთი უფლებამოსილების საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსისათვის დელეგირება, რომელთა შორის არ არის გათვალისწინებული უფლება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისა და განხილვის შემდეგ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესახებ. „საქართველოს მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის N54-ე დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-40 მუხლის თანახმად, იურიდიულ დეპარტამენტს მიენიჭა საქართველოს მთავრობის ან პრემიერ-

საქართველო, 0114 თბილისი, ინგოროყვას 7
7 Ingorokva Str. Tbilisi, 0114, Georgia

ტელ/Tel: (+995 32) 2990900
www.government.gov.ge

06 -148

მინისტრის სახელზე წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებული კანონმდებლობით დადგენილი წესით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება და საქართველოს მთავრობის ან პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება. აღნიშნული უფლებამოსილების გათვალისწინებით ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში იურიდიული დეპარტამენტის კომპეტენციას განეკუთვნება საქართველოს მთავრობის ან/და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრების განსახილველად მიღების შემთხვევაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ნორმების დაცვით ზეპირი მოსმენის ჩატარება და შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი.

ზემოხსენებული ნორმათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსი ვერ განიხილავს თქვენს 2014 წლის 11 ნოემბრის N38045 ადმინისტრაციულ საჩივარს და ვერც სხვა პირს ან სტრუქტურულ ერთეულს მიანდობს განხილვის უფლებას, რადგან ეს უკანასკნელი სცილდება მის კომპეტენციას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენი 2014 წლის 11 ნოემბრის N38045 ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის მიზნით თქვენ უნდა წარმოადგინოთ ახალი ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე, რათა მოხდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

პატივისცემით,

სოფიო სიჭინავა

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

N38943
18.11.2014